



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პლატფორმის „თანამშრომლობა
ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ შეხვედრა

ოქმი #1

17-18 მარტი, 2016 წ.

ქ. თბილისი

პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ პირველი
სამუშაო შეხვედრა 2016 წლის 17-18 მარტს, სასტუმრო თბილისი მარიოტში გაიმართა.
შეხვედრას ესწრებოდნენ:

- ვიქტორ ბარამია - ევროპის ფონდი
- სიმონ გაბრიჭიძე - ველფეარ ფაუნდემენი
- კახა დაუშვილი - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
- მიხეილ კუკავა - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
- ნატა კაკაბაძე - რეგიონის განვითარების ცენტრი
- სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ირინა გურული - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
- მაია გრიგოლია - PMC კვლევითი ცენტრი
- კობა ნადირაძე - პარტნიორობა ადმინისტრაციის უფლებებისთვის
- ამირან გიგინეიშვილი - საქართველოს სასოფლო დარბაზი
- ლევან ხინთიბიძე - საქართველოს დემოკრატიული განვითარების
კავშირი
- ნანა ბაგალიშვილი - სამოქალაქო ინიციატივა

- იოსებ ბუაძე - იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოება „იმედი“
- ნინო ცუხიშვილი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ირმა პავლიაშვილი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- რატი თინიკაშვილი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ნინო ნაცვლიშვილი - ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

შეხვედრის პირველი დღე დაეთმო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას საჯარო ფინანსების მენეჯმენტში - ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე. ევროპის ფონდის წარმომადგენელი, ვიქტორ ბარამია მიესალმა პლატფორმის წევრებს. მან ისაუბრა, რომ პლატფორმა შეიქმნა შეზღუდული რაოდენობის ორგანიზაციების მიერ, თუმცა ახლა გაფართოვდა. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ ამ ორგანიზაციებს შორის რეგიონების წარმომადგენლებიც არიან. მან გამოთქვა იმედი, რომ შეხვედრის განმავლობაში მიიღწევა ორი მიზანი და საშუალება ექნება ევროპის ფონდის ექსპერტს ლენა კრილოვას ისაუბროს საჯარო ფინანსების მენეჯმენტზე, რასაც ეხება მისი კვლევა და ასევე, პლატფორმა შეძლებს შეჯერდეს იმ საკითხებზე, რომლებზეც ფოკუსირებულად შეძლებენ ეს ორგანიზაციებში შემდეგ მუშაობას.

ლენა კრილოვამ შეთავაზა მონაწილეებს რომ დისკუსიის ერთი საათი დაეთმოთ ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისათვის საჯარო ფინანსების მენეჯმენტში, ხოლო შემდეგი საათი - ადგილობრივ დონეზე არსებული მდგომარეობისთვის. მან წარმოადგინა საბიუჯეტო ციკლის სქემა, როგორც ჩარჩო ბიუჯეტის განხილვისათვის, ხოლო შემდეგ ბრენსტორმინგის რეჟიმში, შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები თუ სად არის სივრცე სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისათვის.

პლატფორმის ზოგიერთმა წევრმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ გამოცდილება ამ კუთხით თანამშრომლობის, თუმცა უფრო ხშირად მუშაობენ კომიტეტებთან და ასევე შესაბამის სამინისტროებთან, ვიდრე პირდაპირ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ისინი ესწრებიან მოსმენებს, შემდეგ წარმოადგენენ მათ მოსაზრებებს, ასევე ცდილობენ კომიტეტის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას. რაც შეეხება გამონწვევებს, გამოითქვა მოსაზრებები, რომ ზოგიერთ ორგანიზაციას აქვს მსგავსი ტიპის

მონიტორინგის შესაძლებლობა, თუმცა არა ყველა მათგანს. ასევე აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა მონაწილეობა პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპზე. გამოითქვა ასევე მოსაზრება, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უფრო გააქტიურდებიან, როცა გადასახადებში დაფინანსების კუთხით შევა ცვლილებები და ეს დაეხმარება ხელისუფლებას, რომ ასეთი ორგანიზაციები აღიქვას პარტნიორად. ასევე აღინიშნა, რომ არის სისტემური მიდგომის ნაკლებობა და მნიშვნელოვანია ხელისუფლებასთან სწორედ ამ კუთხით მუშაობა. ადგილობრივ დონეზე მუშაობას რაც შეეხება, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ყველა მუნიციპალიტეტში განსხვავებული სიტუაციაა, ზოგ რეგიონში არის მზაობა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჩართულნი იყვნენ ბიუჯეტის მომზადების, მიღების, შესრულების პროცესში, ზოგან კი - არა. აღინიშნა, რომ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიურობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის. პირველი დღის დასასრულს, ლენა კრილოვამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია იცოდეს რა გინდა და შეგეძლოს ამის ფორმულირება, ასევე მიმართო შენი საჭიროებები სწორად, ძალიან მნიშვნელოვანია ასევე უკუკავშირი და ამისათვის საჭიროა გარკვეული ტიპის წარმომადგენლობა.

შეხვედრის მეორე დღე დაეთმო პროექტების მოკლე მიმოხილვას, გამოვლენილ პრობლემებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს. დღის დასაწყისში ლენა კრილოვამ შეაჯამა წინა დღის დისკუსიიდან გამოვლენილი ძირითადი საკითხები, ხოლო შემდეგ ორგანიზაციებმა წარმოადგინეს მოკლე პრეზენტაციები.

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენელმა, ლევან ხინთიბიძემ ისაუბრა ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების - ე.წ. ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს.-ების საქმიანობის მონიტორინგი და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე, ასევე ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით მათთვის გამოყოფილი საჯარო ფინანსების ეფექტურად

განკარგვისა და ანგარიშგების მექანიზმების დამკვიდრების ხელშეწყობაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ აიპები და შპს-ები ვალდებულნი არიან ანგარიშები მიანოდონ თვითმართველობას. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად ხაზინა რასაც აკეთებს ის აქვს ამ ორგანიზაციას გაკეთებული შესრულების ანგარიშების გეგმაში და ძალიან მნიშვნელოვანია, ეს არ ხდება ბევრ მუნიციპალიტეტში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, ირმა პავლიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების, ასევე საჯარო შეხვედრების მნიშვნელობაზე ინდიფერენტულობის დასაძლევად. რეკომენდაციებისა სახით მან გამოყო პეტიციების ხელმოწერა, საჯარო განხილვები, ანგარიშების ეფექტურობის გაზრდა, მოქალაქეთა ინტერესების გათვალსწინება.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, კახა დაუშვილმა ისაუბრა პროგრამა „ანარმოე საქართველოში“-ს მრეწველობის წახალისების კომპონენტის ეფექტიანობის შეფასების ანგარიშზე, მენარმეობის განვითარების სააგენტოს სუბსიდიებზე. მან აღნიშნა, რომ არ შეიძლება, რომ სესხის ყველა მოცულობაზე იყოს ერთნაირი სუბსიდირება და ამ მხრივ ბენჩმარჩინგი იქნებოდა აკრგი. ასევე აღნიშნა, რომ სააგენტოს მიერ დიდი რესურსია დახარჯული რეკლამებზე, თუმცა არ ქონდა ამას შესაბამისი ეფექტი. მან ასევე ისაუბრა, რომ პროგრამა „ანარმოე საქართველოში არის კარგი სამონიტორინგო, მაგრამ არის რეკომენდაციები, რომ უკეთესი გახდეს. სხვა პროგრამების შეფასება ამ მეთოდოლოგიით ვერ მოხდება. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ბოლო 3 კვლევის საფუძველზე მან აღნიშნა, რომ ყველგან ჩართულობა არის განსხვავებული და ძალიან სპეციფიკური ცვლილებებია საჭირო.

PMC კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა, მათა გრიგოლიამ გამოთქვა ეჭვები გადანყვეტილების შესახებ, რომ ბანკების გავლით მომხდარიყო სუბსიდირება. მან აღნიშნა, რომ რეფორმა შეიძლება სხვა მოდელით, ისე რომ ხელი შეეწყოს

თავისთავად მენარმეობის განვითარებას. უნდა შევისწავლოთ მსხვილი კომპანიების ქცევა და ვნახოთ, არის თუ არა ეს ფუჭად გადაყრილი რესურსი.

ველთუფარ ფაუნდემენტის წარმომადგენელმა სიმონ გაბრიჭიძემ ისაუბრა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კვლევის შესახებ. მან აღნიშნა, რომ პრობლემა ძირითადად უკავშირდება იმას, რომ ეს პროგრამა ითვლება, როგორც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად და აღარ უნდათ იმის დანახვა თუ რა ღვას ამის უკან. მან ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრო გეგმავს კითხვარების დამუშავებას და შემდეგ ამის მიხედვით რეფორმების განვითარებას, თუმცა ეს კითხვარები ვერ შექმნის ამისათვის საფუძველს, როგორც შინაარსიდან, ასევე ტექნიკური სირთულეებიდან გამომდინარე.

შეხვედრის ბოლოს ჩატარდა სწრაფი ბრენსტორმინგი იმ საკითხებზე, რომლებზეც პლატფორმას შეუძლია იმუშაოს. ეს საკითხებია: აიპ/შპს საბიუჯეტო განცხადებების და ანგარიშების ფორმების რეპლიკაცია, მონიტორინგი ახალი მექანიზმების განხორციელებით, საბიუჯეტო პროცესი - გათანაბრებითი ტრანსფერების განსაზღვრა, საბიუჯეტო ციკლის კალენდარი - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტანდარტების დაგეგმვა, განხორციელება, ეროვნული პროგრამების მიდგომების მონიტორინგი.

ლენა კრილოვამ აღნიშნა, რომ თუ გაგრძელდება სტანდარტების გამოცნებისა და თანამშრომლობისთვის ხელშეწყობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და შემუშავდება სახელმძღვანელო, იქნება ძალიან კარგი. მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გამჭვირვალობის სტანდარტები, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ამ მიმართულებით სტანდარტებზე შეიძლება მუშაობა.

შეხვედრის დასასრულს, ვიქტორ ბარამიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნება საერთო მიდგომების, წესების და სტანდარტების შემუშავება, თუნდაც მინიმალური სქემები რომ არსებობდეს საწყის ეტაპზე. მან შეთავაზა შეხვედრის მონაწილეებს, რომ ელექტრონულ ფორმატში გაგრძელდეს სტანდარტების შემუშავება.